

სამი ვართ
ქართულნი

ჩვენის დაცემულის ვინაობის აღსაღგნად

ილია ჭავჭავაძე

იღვია ჭავჭავაძე

რანი უჩით
ქართული

ჩვენის დაცემულის პინარგის აღსაღენად

თბილისი, საქართველო
2009

„არ ვხედავთ - რანი ვართ“ - გულისტკივილით
ამბობდა წმიდა ილია მართალი თავისი თანამედროვე
ქართველების შესახებ.

გზა ხსნისა ცოდვის შეცნობასა და მონანიებაზე გა-
დის. „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღსაღენად“ ღრმა
და გულწრფელი სინანული დაგვიდგინა უფალმა.


მხოლოდ ღვთის რჩეულ ადამიანებს, რომელთაც მო-
იპოვეს „განცდა თვისთა ცოდვათა“, ხელეწიფებათ
საზოგადო სენის მხილება. ჭეშმარიტი მამულიშვი-
ლების დახმარებით ერს თავისი სნეულებების დანახ-
ვის საშუალებაც ეძლევა და კურნების გზისაც.

„სცან ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუ-
ფლნეს თქუენ“ (იოანე 8.32).

გულისხმავყოთ ჩვენთა დიდთა წინაპართა ნააზრევი,
რომ ჩვენს ცხოვრებაში მშვიდობისა და ერთსულო-
ვნების დამკვიდრება შევძლოთ!

ფასეულობათა კვლევის საზოგადოება

„ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება გზას გავინათლებს, გული - გავითბობს, ღმერთი ძლიერია... ყველას გულში, - ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, - ღვთისგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა, ის ცეცხლი მეც, შენც და სხვასაც ხანდახან იმისთანა საქმეს გვაქმნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს... რა ვუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? ვინ იცის... ხვალ ბედი რომ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?.. რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და ქაციცა.“



„როგორ უნდა გავსწორდეთ,
თუ ჩვენი სიმრუდე არ გვე-
ცოდინება. ნეტავი ორიოდე
კაცი იყოს საქართველოში, რომ
ჩვენი ბოროტება ერთიანად ას-
წეროს და დაგვანახოს... აბა, ის
იქნება ნამდვილი და საქებარი
მამულის მოყვარე და არა ის,
ვინც მეტისმეტად დამჟავებულ
სიყვარულის გამო, ანგელოზივ-
ით ასახელებს საქართველოსა.
ბოროტების ღვიარება ნახევარი
გასწორებაა“...

„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ
შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან
„შეშლილის“-ს თარგმნაზედა“
1861 წ. 5 ნოემბერი

რა გითხოვათ? რით გაგახაროთ?

აქა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი!.. რა მოვულოცოთ
ჩვენს თავს, ქართველო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ
დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი,
რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ
ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვი-
წონოთ ან ნანვითა ვთქვათ: „პოი, წამო სიხარულისავ, ესე
სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის
ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის
ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვედინ, დღეო
სიხარულისაო!“ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევ ძველებურადვე თავი უნდა დაგიქრათ და მოგახ-
სენოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ სულ წყ-
ალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თითონაც
თითო გავძრათ, ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ.
წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ,
თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს,
არა სხლავს, არა ჰქონის, არ უვლის, არ ჰპატრონობს.
ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე, დანარჩენი
თქვენ იცით და თქვენმა კაცობამათ. რა კაცობა გამოვიჩი-
ნეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია

რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხია
იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს - ქრისტე ღმერთმა თავი-
სი კალთა უხვებისა აქ დაიბლერტაო, იმათში უკანასკნელი
საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებელობით არის
და არა კაცისათო, ის კველაფერი უკეე მოგვმადლა ღმერთმა.
ხელთ გვიჭირავს ეს შშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ
შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად
არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყნაში
მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი
აღნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა
გვაქვს, რომ რა გინდა, სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ
იმოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც
იმოვება. ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა
და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა
მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა,
პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმატ-
ლარ სურვილისამებრ. ვართ კი ასეთნი? რა გითხრათ? რით
გაგახაროთ?

რა არ გადაგვნდენია თავს, რა მტრები არ მოვსევიან,
რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა ქბილთა
არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა
ჩვენს თავზედ და ყველას გაუძელით, ყველას გავუმაგრდით.
შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-
წყალი. ღანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვბანეს
და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაპ-აბაზებმა
ჩვენის ქბილით გვაგლევინეს ჩვენი წვრილ-შვილი და
მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა
პირქვე დაგვამხეს, ქვა ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს,
მოგვულიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდევით, მოვშენდით,
წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონ-
ღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა
და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით,
ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლე-
ბული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავალებინეთ, არავის და-

ვანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭრას!.. დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადაუედებეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხ-მარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთი-სათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიუღიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-მვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვას-წორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს - სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს! ცოდვა არ არის, ეს ლომი კოლომ საბუდოად ვაიხადოს! ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას, როგორც მძოვრი, როგორც ღემი! რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, - რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმოხვეველნი მამ-ულისათვის რამდა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით - იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟყაცობა უნდოდა, ვაჟყაცნი ვიყავით, ხმა-ლი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ - ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ - ვით მეომ-რებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟყაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარათერის

მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა პლვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი პლვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა-მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჭითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვაროთვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო-რა - შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს. სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-და გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედროეთ, წინ არ დავუკენეთ. ვართ კი ყოველ ამისთვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს კიცით და ვემზადებით?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, შშვიდობიანი, წყნარი. ამ ომშა არც ბუქი იცის, არც ნაღარა. უბუქ-ნაღაროდ სთესავს, უბუქ-ნაღაროდ მკის. ქოქისებურ შხაპუნა ნიაღვარს კი არ ჰვავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თვითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამდა, არ მოუშნამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა - პატიოსანია, ნამუსიანია, და

ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ
თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში
ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც
გულადზე შშრომელი სამის გაფრენით მეტრო, - იტყო-
და გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს
ათქმევინებთ. რა გლეხკაცი!.. თითონ დღვეუნდელი დღე ამას
გვეუბნება, ამას პლალადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღალადი?
ვაი რომ არა!.. მაშ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

არ ვიცით - რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ - რანი ვართ,
ვერ გამოგვისახია - რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს
დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს
ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ,
ქართველების, წინ და აინუშიაც არ მოგვდის. ამ თხრი-
ლის პირას ვდგევართ და საქმაოა ხელი გვქრან - და შიგ
გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ
გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან,
გამოსწიწინონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო.
ვღვევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“
და ამ ბზუილიდამ არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ
ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან-კი ყველა ტყუის. ახალო
წელიწადო, თუ რამ შევიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურები-
დამ ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისაგან გვასწავლე დროთა
შესაფერი სამამაცო ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც
აღარა სოქეას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

„რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხ-
სნა, ჯვარცმულნი ქრისტესთვის
როგორ გადავრჩით, წამებულნი
და სისხლმთხეველნი მამულ-
ისათვის რამდა გვაცოცხლა“...

„რა გითხრათ? რით გავახაროთ?“
1897 წ. 31 დეკემბერი

ქართველი ერი და ლვაზლი ჭაბულა ნინოსი

14 იანვარი ყოვლად-სადიდებელი დღეა ყოველის ქართველისათვის. ამ დღესა უქმობს, ამ დღესა დღესასწაულობს საქართველოს ერი და ეს დღეა დღე მიცვალებისა ჩვენის განმანათლებლის მოციქულთა სწორის წმინდა ნინოსი. ამ ჩვენს ლვთისმშობლის წილხვდომილს ქვეყანას ლვთისმშობლისავე ლოცვით და კურთხევით მოევლინა ზეგარდამო შთაგონებული წმინდა ქალწული, გადმოლახა თავის უძლურის ფეხითა მთანი და კლდენი, მოვიდა იქ „სადაცა ღმერთნი ღმერთობდნენ და მეფენი მეფობდნენ“, პირქვე დაამხო სალოცავნი კერპომსახურებისანი და მათს ადგილას აღმართა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი პატიოსანი.

საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ თხუთმეტი საუკუნე გულში ჯვრით და ხელში ხმლით იბრძოდა, ღვწოდა, სისხლსა ჰლერიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა.

ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა,

თავდადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათლით არის გასხივოსნებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ“, წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოპფინა მთელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზე სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია ყოველს მცნებაზედ: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანა ჩვენი ქვეყანა, იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც დღეს აქამომდე არ გამქრალა და არც გაპქრება, მინამ არ გაპქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზედ, თხუთმეტი საუკუნე გულგაუდრეკლად ატარა, თავპირდასისხლიანებულმა ჩვენს დრომდე შეუმწიკვლელად მოიტანა და ტანჯულმა და წამებულმა ჩვენ, შვილებს, გადმოგვცა, - ეხლა თქვენ იცითო.

ეკლის გვირგვინია, მაგრამ თვალ-მარგალიტით მორთულს გვირგვინს რითი ჩამორჩება? გვირგვინი წამებისა ჭეშმარიტებისათვის, კაცოყვარებისათვის, გვირგვინი წამებისა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ნუგემისათვის, გვირგვინი წამებისა ერთმანეთის ძმურად და სიყვარულით განკითხვისათვის. შშიერთა, მწყურვალთა, სნეულთა, საპყართა და პატიმართა შველისა და ხსნისათვის, ობოლთა, ქვრივთა, უპატრონთა შეწყნარებისათვის, ნუთუყოველივე ეს იგივ თვალ-მარგალიტები და უკეთესნიც არ არიან?

დიდი წამება დიდბუნოვნების ნიშანია, როგორც დიდი ძლევამოსილება. დიდი წამება იგივ დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად პხვდება ხოლმე დიდბუნებოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონაც სტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს, და წამებული კი თვით იწვის სანთელსავით და სხვას კი გზას უნათებს.

ამიტომაც ეკლიანი გვირგვინი წამებულისა უფრო უან-
გაროა, უფრო მიმზიდველია, უფრო საგულმტკივნეულოა
და, მაშასადამე, უფრო მშვენიერი, სასახელო და სადიდე-
ბელი. მარტო ამ წამებულთა პლოცულობს კაცობრიობა,
მარტო ამ წამებულთა აღიარებს იგი წმინდანებად და
თაყვანს სცემს ლოცვითა და კურთხევითა.

ეკლიანი გვირგვინი, ჩვენს დღემდე მოტანილი ჩვენთა
წინაპართაგან, ამ მშვენიერებითა პშვენის, ამ სახელითა
სახელოვნობს, ამ დიდებით პდიდებულობს. თუ ვისმე სა-
მართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას კი
გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლო-
ბელნი შვილნი ლმობიერებით პირქვე უნდა დავემხოთ
მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებ-
ულთა და ქება ქებულთა.

ამ სამართლიან ქება-დიდებისათვის სხვა უკეთესს
დღეს ვერ ამოირჩევს ქართველი, თუ არ დღეს, ჩვენის
განმანათლებლის სახსოვრად დაწესებულს. მოგვევლინა
წმინდა ნინო, გვამცნო და გვასწავლა ქრისტეს რჯული
და ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა
ახალის ცხოვრებისათვის. ქართველმა ამ რჯულს, ამ ახ-
ალს აღთქმას, შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც-
კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის-დღეში
არ დაძველდება, მინამ ადამიანი არსებობს: შეუერთა მა-
მული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი
ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის
დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა
და მიწა-წყლის დაცვა - რჯულის დაცვად. რჯული
ჩვენი მამულის, ჩვენი ეროვნების ხმლად იქცა ზედმისე-
ვისათვის და ფარად ზედმოსეულთათვის.

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში
პნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, პნიშნავდა
ქართველობას. დღესაც, მთელს ამიერკავკასიაში ქართ-
ველი და ქრისტიანი ერთისა და იმავეს მნიშვნელო-
ბის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან:
გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა,

რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-შეთვისებული, უძლეველი ხმალია და შეუღეწელი ფარია მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას იგი სულ იმაზედ მოაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს.

აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი, როგორ გაიმაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტეში ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი მტრები ეხვივნენ და ჰლამობდნენ, ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი, რამ მოაგერიებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული - მამულსა და ეროვნებას, და ეპრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაინძლვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა.

ამ სამთა უწინდესთა საგანთა შეერთებამ ასწია ჩვენი სამღვდელოება და დააყენა ის მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ბიჯი ღვაწლია და სამსახური ქვეყნის წინაშე. მოღვაწეს და მოსამსახურეს ყოველთვის დიდი პატივი და სახელი აქვს და ამიტომაც უწინ სასულიერო წოდებაში შესვლა და ყოფნა დიდ პატივად და დიდ ღირსებად მიაჩნდათ. დიდნი გვარიშვილნი, მეფეთა ოჯახისანი და ძენიც კი ბედნიერად პრაცხდნენ თავიანთ თავს, თუკი ეღირესებოდნენ სასულიერო წოდების კაცად გახდომას, სასულიეროში შესვლას და სამსახურსა. ყველამ იცოდა, რა მძიმეა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი მამულისა და ეროვნებისა, და სახელიც მოღვაწისა ამ სიმძიმეში იყო. ეს სიმძიმე აპატიოსნებდა ღვაწლსა, ეს ტვირთი ასხივოსნებდა

სამსახურსა და ამ პატიოსნებასა და სხივოსნობაში იყო
თავმოწონებაც და ჯილდოც მოღვაწისა.

ამ სახით, წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და
დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამცთუ
სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმა უდიდესმა მოძ-
ლვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყა-
ნას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა
გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა
ობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალ-ღონით
გამოჰარდა, შეკმოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძლ-
ვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა. და, აი,
ათასხუთასი წელიწადია, ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ
შემოგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი
ვინაობა, ჩვენი ეროვნობა.

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თითონ ცალკედ,
თავისთავად დიდი ღვაწლია, და რომ ქრისტიანობამ ქვით-
კირსავით შეგვერა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობა
გაგვიძლვა მამულისა და ეროვნების შერჩენისა და ხს-
ნისათვის, ღვაწლი. იგი გვიორკეცდება, გვიდიდდება, გვი-
ძლიერდება. ეგ გაორკეცებული, ეგ განდიდებული ღვაწლი
დაგვდო ჩვენ ჩვენმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ. აი
რით არის მართლა სადიდებელი, მართლა სადიდდლესას-
წაულო იგი დღე, როდესაც ჩვენი ეკლესია დიდებით
იხსენიებს ამ მოციქულთასწორს ქალწულსა. ამა ღვ-
თაებურის მადლით მოსილმა მოციქულმა დაგვაწაფა
დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისას და
მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი
მამული, ჩვენი ეროვნება, და ერთსაც და მეორესაც უპა-
ტრონა დღემდე.

კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის! დიდება შენდა,
დიდება!..

„შვილმა უნდა იცოდეს, სად და
რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქი-
დამ დაიწყოს ცხოვრების უღ-
ლის წევა“...

„ერი და ისტორია“
1888 წ. 9 ნოემბერი

მრი და ისტორია

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათანხმულება, გაწყვალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაც. წარსული – მკვიდრი საძირკელია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ფაზი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადამტკიცი, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძნისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის შშობელი მერმისისაო. ეს სამთა ფაზთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყოცელი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი.

ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია, ესე იგი იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულებას, მის აზრს და საგანს არსებობისას, მის წმიდათა-წმიდას, და

რომელიცა მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთუსს
მერმისისათვის. ამისთანა ხალხი დღესაც ბევრი არიან
ქვეყანაზედ. ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელ-
მაც არ იცის — ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და
სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა
პირუტყვაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება. ულ-
მობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს
ეხლანდელს დროში, და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის
მქონე ერი დაეძერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეი-
წირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა.

თუ ესეთი არა, ბევრი მეტი აღარ არის იგი ერი, რომელ-
საც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუკიტყნია; აღარც
ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებო-
ბისათვის საჭიდაოდ, იმიტომ რომ, რა იყო — ის დავიწყებუ-
ლი აქვს და, მაშასადამე, რა არის — არც ის იცის. არ იცის
რა გაიმაგროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოესარჩლოს
და რას არა. ფეხქვემიდამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა,
იგი ტანი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღებს
ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან საშვილიშ-
ვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად. იგი დიდება,
იგი სახელი, რომელსაც ამისთანა ერი ჩაინარჩუნებს ხოლმე
წარსულისაგან თავის გულში, თავის სამღერალსა და სა-
გალობელში, თავის ზღაპრებსა და მოთხრობებში, მართალია,
ბევრს ანუგეშებს ხოლმე ჭირსა და ლხინში, მაგრამ, რაც
დრო მიდის, ეგ ნუგეშეც, ისტორიის დავიწყებასთან ერთად,
ნელდება და თანდათან ჰქინება, იმიტომ რომ სამღერალსა
და საგალობელში, ზღაპრებსა და მოთხრობებში ჩარჩენილნი
სახსოვარნი, ისტორიის დავიწყების გამო, მართალს აღარა
ჰგვანან და უაზრო და უსაგნო ზღაპრადღა გარდაიქცვებან,
როგორც მთქმელის, აგრეთვე გამგონის თვალშიაც. ამის
გამო ამ სახსოვრებში ის ცეცხლმოსაკიდებელი ძალ-ღონე
აღარ არის, რომელიც კაცს აფეთქებს ხოლმე მოქმედებისა
და გარჯისათვის, და რაკი ეს არ არის, ყოველი ეს განძი
და საუნჯეც კი, წარსულისაგან გადმოლოცვილი, ამათ და

ფუჭია ერის გამხნევებისათვის, ერის დღეგრძელობისათვის.

თუნდ ეგეც არ იყოს, შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი - ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხოროუშო სპილოს ევანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება.

ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვაჩუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგვებად. რომ მართლა ესეა, ამის საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭახალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშენივრად შემქულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით - რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას.

რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიუჟეტი და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარების ხოლმე მარტო ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნა ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა - რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი? არ არის არც ერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, როგორც სხვისაც, რომ რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ

ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება რა, ვიმეორებთ, იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და გამმარტებელი ისტორია. ამიტომაც ჩვენ ბევრში უთავბოლობა გვეტყობა, არაფერი საქმე არ გვიხერხდება, აქეთ და იქით ვასკდებით თავს-ბრუ-დახვეულ კაცსავით და ვერა გამოგვიტანია რა. ეს უქმად წარმავალი გარჯა ჩვენი, უქმად წარხდომილი მხნეობა და ცდა, ქანცს უწყვეტავს გამრჯელს და მის მაყურებელს კრის ხომ გული უტყდება, თავის თავზედ სასოება და იმედი ეყარგება, და აქედამ განა დიდი მანძილილა სრულად განადგურებამდე!

გარდა ჭოველ ამისა, ბევრჯერ გვითქვამს და ეხლაც განვიმეორებთ, რომ ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიანს სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებულ და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატინი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ევ თავისის ერთიანის სულის წირვა, ევ თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰეულოვნდება და თავშოწონებულია ჭველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუკარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსეულს უბედურებასა და განსაცდელს. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღვწის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა, და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში.

დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარის ისტორიისანი არიან. ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჸსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს. ამა შეხედეთ სხვა ქვეყნებს, ერთი იმისთანა სახელოვანი კაცი არა ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძევლი არა ჰქონდეთ აღმართული?

რისთვის? სულ იმისთვის, რომ დიდმა თუ პატარამ დაიხ-
სომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალწინ
იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს.

1888 წ. 9 ნოემბერი

„აი, საგანი და გზა, აი, რისთ-
ვის უნდა მომზადდეს ჩვენი
ყმაწვილკაცობა“...

„შინაური მიმოხილვა“
1881 წ. მაისი

შინაური მიმოხილვა

1881 წელი, მაისი
ფრაგმენტები

* * *

ვისაც ადვილად და მოუმზადებლად კუსავით ფეხის გამოყოფა უნდოდა ქვეყნაზედ, ევ მოდა უნდა მიეღო: ამის-ათვის ორიოდე ფრაზა იყო საჭირო. ერთი ის, რომ პოეზია, და კრობ ხელოვნება, რა ჭკვიანი კაცის საქმეა, ერთი წყვილი წალა შექსპირს მირჩევნია: მეორე - ავტორიტეტები არა მწამსო; მესამე - ისტორია ზღაპარია; და მეოთხე - ქვეყნაზედ მარტო გლეხეცაცია ადამიანი და თავადი და აზნაური კი არაო. ეს ფრაზები რომ დაგესწავლათ, ლიბერალი იყვაით და ლიბერალი. აი სწორედ ამგვარ ლიბერალობაში ჩაცვივდნენ ჩვენებურის ყმაწვილ-კაცობის ბევრი წილი. დღესაც, ამა დააკვირდით ჩვენებურს შინ-გამომცხვარ ლიბერალებს, თუ მარტო ამ უთავბოლო ფრაზებით არ იკვებებოდნენ და ქვეყნის სასაცილოდ თავიანთ თავს ლიბერალებად და რადიკალებად არა ხადოდენ. ამა დააკვირდით, თუ ყველგან, საცა გინდა და არ გინდა, სულ ეგ ფრაზები არ წამოსჩირონ, ფერად-ფერადს ძონძებში განვეულები.

* * *

ჩვენში ყმაწვილ-კაცობა ორ ბანაკად გაიყო: ერთში მოექცნენ ისინი, ვინც რუსეთის უარმყოფელის მიმართულებიდამ ოთხ ზემოხსენებულ ფრაზებს გარდა არა გამოეტანათ რა, მეორეში - ახალის გუნდის მომხრენი. პირველებმა დაიხვის ხელზედ რუსეთის „მამა-შვილობა“, ენაზედ დაიკერეს ზემოთ მოყვანილი ოთხი ფრაზა და დღეს-აქამომდე აწიოწოს იძახიან და იოლად მიდიან. მეორეები კი დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰდალადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალ-ღონითა. და თუ აქაც ბედისწერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამაშვილობა“ არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შეა მიჯნად დადებულიყო. ის „სხვა რამე“ იყო - ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია, - ყველასათვის ცხადზედ ცხადია.

* * *

მართალია, ჩვენის „ვინაობის“ აღსაღენად ახალს გუნდს ბევრი არა უქმნია რა, რადგანაც იმისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგა ქვეითობდნენ, მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ მაგ მიმართულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად ფეხი მიაკიდებინეს. ისიც დიდი აბბავი იქნება, თუ ამ გუნდმა ამ საგანზედ მოახედა ჩვენი ალმაცერად მაყურებელი თვალი და რაც ძალ-ღონეა, სულ მაგ საქმეს ზედ მოახვია და შესჭიდა. რაც ვერ ჰქმნეს ამათ, იქმოდენ სხვანი, ოღონდ ამ მიმართულებამ თავი დაიჭიროს ჩვენს ცხოვრებაში, ღრმად გაიკეთოს ძირი და იმოქმედოს, ვიდრე საჭიროება მოითხოვს.

ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მარტო

მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ნურავის ნუ ჰკონია, რომ ეგ მიმართულება, რადგანაც დიდი ხნისაა, იმიტომ ძველია, იმიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებისთვის. დევ, ოთხურაზიანში ლიბერალებმა ეგრე იფიქრონ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს საქართველოს შეიღს.

ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმაკლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შეუურჩოთ, ქვეშ დაუყუნოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრია, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მიუუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად - მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთ. აი, ჭეშმარიტის ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში. ჩვენებური რეტროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღევანდელი დღის მღაღადებელს სხვას არ გაუგონებს. ყურს მოუყრუებს და არ აპყვება. გინდ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სახელწოდება არაფერ შუაშია, ოღონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის.

სლავიანებმა, რომელთა ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მოუჩინა ისტორიამ, სულ ამ საქმეს მოახმარეს თავისი დრო და მეცადინეობა. ამისათვის თავგანწირულ კაცებს დღესაც წმინდანებსავით ლოცულობენ და თაყვანსა სცემენ. მათი უკეთესი წარმომადგენელნი იმით ქადულობენ, იმით ლიბერალობენ, რომ მაგ საქმეს მისდგომიან და მარტო მაგით სულდგმულობენ. დღესაც მაგ საქმეს ზედ აკვდებიან და, რასაკვირველია, არც მოეშვებიან, ვიდრე თავისას არ გაიტანენ. თავის ვინაობის აღსაღვენად და ქვეყნის დასანახავად - თავისი წარსული ხელახლა აყენეს საფლავიდამ, გამოსჩერიკეს,

მისნელობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც
ძველად პქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნა-
ციონალობას შეადგენდა და სარჩულად კდვა. გაუცოცხ-
ლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი
ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდაღებულებისა, ძველის
ქველობისა, ძველის კაცურკაცობისა. მოავონეს, ისტორიის
შემწეობით, დავიწყებულნი სახელოვანნი დღენი წარსულისა,
აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, უამთა ვითარე-
ბისგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს,
გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი.
ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო, რა ყოფილა, რა არის
და რის იმედი უნდა პქონდეს, შეიტყო და ფეხზე დადგა,
ფრთა შეისხა. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები
არიან.


აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის
უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, მთელის ევროპის
მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმალით შეჭურვილი,
აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათ-
ვის და რა უნდა ამოირჩიოს. ამისთვის სამყოფი არ არის,
კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავანანაში მოარული ფრაზები
და იმითი თავი მოიტანოს. ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზად-
დეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც
შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება,
წინ გაიმძლვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარა-
ღით შეუგდეს ჩვენის ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედან-
ზედ, რომელიც ჩვენ ზემოთ ვიგულისხმეთ, კაცი ერთ ბიჯსაც
რიგიანად და სამკეთროდ ვერ წარსდგამს, და იმ საგანს და
გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ
დააჩნევს. ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ
უკეთესს გზას, უკეთესს სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს
სხვას ვერას ვუჩენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას.
ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ,
ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ. „ჯერ მაცოცხლეო, მერე
მაფიქრებინე, როგორ გავმდიდრე“,- ამბობს ერთი სლავიანი
პატრიოტი. ნამდვილად გულშემატკივარმა საქართველოს

შვილმა ეს სიტყვები უნდა დაიწეროს გულის-ფიცარზედ და
სხვაზედ არაფერზედ არ წაიტყუოს ჭკუა და ხელი.

ყოველის ჩვენგანის მოქმედების საწყაო, საზოგადო
საქმეებში, თუ ღიტერატურაში მარტო ის უნდა იყოს, თუ
ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მოუცი-
ლებელს საგანსა და გზას. სხვა საწყაო ტყუილია და ამათ:
სხვისი ბაზი იქნება და არა ჩვენის თავის საჭიროებაზედ
გამოჭრილი.

„თუ ადამიანს თავისი ვინაობა
არარად მიაჩნია, მაშინ იმ ადამი-
ანში ადამიანური რაღაა? დრო
გამოიცვლება, დრო მოვა, როცა
თავისის ვინაობიდგან გადამდგარი
კაცი ყველასაგან შერისხული
იქნება, როგორც უღირსი, თითონ
იმათგანაც კი, ვინც ეხლა სიხ-
არულით ამისთანა კაცს შეიკედ-
ლებს ხოლმე და ულოლოებს.
დრო მოვა, როცა ყველასთვის
ცხადი იქნება, როგორც ორჯერ-
ორი, რომ თუ კაცი თავისას გად-
უდგა, სხვისას ვერ უერთგულებს,
ეს ჭეშმარიტება დღეს ცოტამ
იცის და ხვალ ბევრს ეცოდინება
და მაშინ, ვაი, თავის ვინაობაზედ
გულაცრუებულს, გულგრილს და
ხელაღებულს“...

„შინაური მიმოხილვა“
1882 წ. მარტი



ც ა ს ტ ე ლ მ რ ა თ ა
კ ვ ლ ე ვ ი ს ს ა ზ მ გ ა დ ი რ ა



ეროვნული
ცენტრალური